ხელშეკრულება შესყიდვების შესახებ № 6

ქ. ზუგდიდი 17.02.2014 წ

ერთის მხრივ **სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირის №1 საჯარო სკოლა** (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი დირექტორი **ინეზა კვიტატიანის** სახით და მეორეს მხრივ, **შ.პ.ს."EZU"** შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორი **ბადრი ხონელიძე** სახით, მოქმედი კანონმდებლობის და საკუთარი წესდების თანახმად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1 ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან **საკანცელარიო საქონელი,სპორტული საქონელი CPV კოდი -37400000; 22800000** (შემდგომში „შესყიდვის ობიექტი") შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 სახელშეკრულებო პირობები
შესყიდვის ობიექტის მთლიანი სახელშეკრულებო თანხა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით შეადგენს **2000 (ორიათასი)** ლარს.

2. მიწოდების პირობები

2.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული რაოდენობისა და მიწოდების პერიოდულობის მიხედვით .
2.2 ხელშეკრულების თანახმად შესყიდვის ობიექტის მიწოდების პუნქტად განსაზღვრულია მიმწოდებლის ოფისი მდებარე მისამართზე: **ზუგდიდი. ზ.გამსახურდიას №16**
2.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ან კანონმდებლობით დაშვებული სხვა დოკუმენტი)

3. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

3.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით , მიმწოდებლის ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით.
3.2 ანგარიშსწორებას შემსყიდველი განახორციელებს ფაქტობრივად მიღებული შესყიდვის ობიექტის რაოდენობის გათვალისწინებით შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურებისა და სასაქონლო ზედნადებების წარდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1 შემსყიდველს უფლება აქვს: შეამოწმოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებისპირობების დაცვაზე
4.2 შემსყიდველი ვალდებულია:
–მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობრბის შესაბამისად;
–უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება;
–წერილობით აცნობოს მიმწოდებელს ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ.
4. 3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
– მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
4.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
–მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
–გააფრთხილოს შემსყიდველი ობიექტის მიწოდების პროცესში შეფერხების შესახებ;
–დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

5. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

5.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
5.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შ უძლიამოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა. ვალდებულების

შეუსრულებლობისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარეშ უძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
5.3 ხელშეკრულების გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
5.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
5.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა 0,5 % -ის ოდენობით.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები

6.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან **2014 წლის 31 დეკემბრამდე.**
6.2 ხელშემკვრელი მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედება.
6.3 ხელშეკრულების შეწყვეტის სესახებ მხარეც ეცნობება წერილობით ხელშკრულების (ან მისი ნაწილის) შეწყვეტამდე 2 (ორი) კვირით ადრე მაინც, ამასთან უნდა მეეთითოს მიღებული გადაწყვეტილების და მისი ამოქმედების თარიღი.
6.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა, არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ფასები

7.1 ხელშეკრულებით ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა მოქმედების პერიოდში დასაშვებია მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

8. ფორს–მაჟორი

8.1 მხარეებნი არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუე ს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ. 8.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის გარეშე.
8.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9. დავების გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
9.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

10.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს მიწოდებული ობიექტის შ მოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.10..2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
10.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. დასკვნითი დებულებანი

11. 1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
11.2 არცერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
11.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
11.4 ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის ორ იდენტურ ეგზემპლარად, და ინახება მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
11.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილიამხარეთა მიერ.

12. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შ ე მ ს ყ ი დ ვ ე ლ ი"

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
სოფ.ინგირის №1 საჯარო სკოლა

საიდენტიფიკაციო კოდი 220373502
მისამართი: სოფ. ინგირი
ს/ს რესპუბლიკა ბანკი
ანგ.ნომ: GE80BR0300003302000264
ბანკის კოდი REPLGE22

ინეზა კვეტატიანი

ხელმოწერა

„მ ი მ წ ო დ ებ ე ლ „

შ.პ.ს." EZU"

საიდენტიფიკაციო კოდი: 419987562
მისამართი: ზ გამსახურდიას №16
ს/ს პროკრედიტ ბანკი
ან.ნომ GE03PC0173600100032028
ბანკის კოდი MIBGGE22

ბადრი ხონელიძე

ხელმოწერა